

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2019 წლის 30 იანვრის № 01-03/15 ბრძანებით

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში
უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და
ანგარიშვალდებულების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და ანგარიშვალდებულების წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, წინამდებარე წესისა და უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად.

2.წინამდებარე წესის მიზანია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების, ადმინისტრაციული თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და პერსონალის სხვა წარმომადგენლების პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების ფორმების სისტემატიზაცია (ერთ სამართლებრივ აქტში აღწერა).

3.უნივერსიტეტის პერსონალისათვის გარკვეულ უფლებამოსილებათა დელეგირება ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით და წინამდებარე წესის საფუძველზე. უფლებამოსილების დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

4.უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): რექტორი, პრორექტორი, ადმინისტრაცია, აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო.

5.უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობებია: რექტორი, პრორექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელი, ხოლო ფაკულტეტების ადმინისტრაციული თანამდებობებია: დეკანი და დეკანის მოადგილე.

მუხლი 2. რექტორი

1. უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი - რექტორი არის უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი პირი და სარგებლობს უნივერსიტეტის სრული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით.
2. ასრულებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მითითებებს და სარგებლობს იმ უფლებამოსილებით, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უნივერსიტეტის დამფუძნებელს ენიჭება უნივერსიტეტის მიმართ;
3. ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულის დებულებებს, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და მარეგულირებელ წესს;
4. ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
5. ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს და კონტროლს უწევს მის შესრულებას;
6. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, სახელფასო ბაძეს და უნივერსიტეტის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების წესს;
7. ქმნის მუდმივ და დროებით სტრუქტურულ ერთეულებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;
8. განიხილავს უნივერსიტეტში შემოსულ წინადადებებს, განცხადებებს, საჩივრებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;
9. წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლის დროსაც ის მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია;
10. დებს გარიგებებს მესამე პირებთან, გასცემს მინდობილობებს, წყვეტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და დებულებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.
11. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.
12. რექტორი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში მიიღოს და გაათავისუფლოს უნივერსიტეტის პერსონალი.

2.2. რექტორი უფლებამოსილია:

- 2.2.1. კოორდინირება გაუწიოს უნივერსიტეტის ყოველდღიურ აკადემიურ, სამეცნიერო, ფინანსურ-ეკონომიკურ, ტექნიკურ და საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, ამ დებულებით განსაზღვრულ ყველა სხვა საქმიანობას;
- 2.2.2. მოიწვიოს და უხელმძღვანელოს აკადემიური საბჭოს სხდომებს, ასევე ისარგებლოს აკადემიური საბჭოს წევრისათვის დადგენილი უფლებამოსილებით;
- 2.2.3. რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

- 2.2.4. ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის თანამშრომლებს და უნივერსიტეტის სახელით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან;
- 2.2.5. გასცემს განათლების დამადასტურებელ მოწმობებს წინასწარ განსაზღვრული ფორმისა და წესის მიხედვით;
- 2.2.6. ახორციელებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 3. პრორექტორი

1. უნივერსიტეტს ჰყავს პრორექტორი აკადემიურ დარგში, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო/სამეცნიერო საქმიანობის ზედამხედველობას;
2. პრორექტორი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის – რექტორის წინაშე.

მუხლი 4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. „უნივერსიტეტი“-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით.
2. „უნივერსიტეტი“-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს „უნივერსიტეტი“-ის რექტორი.
3. „უნივერსიტეტი“-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

მუხლი 5. აკადემიური საბჭო

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც ინიშნებიან წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.
2. აკადემიური საბჭოს წევრად შესაძლებელია დაინიშნოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. აკადემიური საბჭო აირჩევა ოთხი წლის ვადით.
4. აკადემიურ საბჭოში თავმჯდომარის სტატუსით შედის უნივერსიტეტის რექტორი.
5. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტს ჰყავს თავისი წარმომადგენელი.

5.2 აკადემიური საბჭოს უფლება/ვალდებულებები:

- 5.2.1 ხელს უწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
- 5.2.2. ღებულობს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ;
- 5.2.3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით და პროფესიულ პროგრამებს და პროგრამაში შესატან ცვლილებებს;
- 5.2.4.

აკადემიური საბჭო ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს;

- 5.2.5. აკადემიური საბჭო ისმენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს;
- 5.2.6. იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;
- 5.2.7. ახორციელებს საერთაშორისო ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;
- 5.2.8. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 5.2.9. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით;
- 5.2.10. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი უფლებამოსილია, არყოფნის ან/და სხვა შემთხვევაში, საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უფლება მიანიჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რომელიმე წევრს.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- 6.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
- 6.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის - რექტორის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით.
- 6.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს:
 - 6.3.1. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას;
 - 6.3.2. სწავლების ხარისხის მაღალ დონეზე განხორციელებას;
 - 6.3.3. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვას.
 - 6.3.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
 - 6.3.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის წესი და პირობები განისაზღვრება ცალკე დებულებით.

მუხლი 7. სხვა პერსონალის ანგარიშვალდებულებები და პასუხისმგებლობები

1. უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულნი არიან:

- ა) ფაკულტეტის დეკანი - ფაკულტეტის საბჭოს და პრორექტორის წინაშე, მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - ფაკულტეტის დეკანის და პრორექტორის წინაშე, მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) აკადემიური თანამდებობის პირი - შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების და რექტორის წინაშე, მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში (შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით);

ე) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები-რექტორის, პრორექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, მათთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;

2. უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში **პასუხისმგებელი არიან:**

ა) ბიბლიოთეკის განყოფილების ხელმძღვანელი-შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების აქტებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობის, ასევე პრორექტორის დავალებით შესაბამისი სამსახურებრივი ბრძანების შესრულებაზე;

ბ) ფაკულტეტის დეკანი - უნივერსიტეტის დებულებით და მართვის ორგანოების აქტებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების, ასევე პრორექტორის დავალებით შესაბამისი ბრძანების შესრულებაზე;

გ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - უნივერსიტეტის დებულებით და მართვის

ორგანოების აქტებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების, ასევე

პრორექტორის დავალებით შესაბამისი ბრძანების შესრულებაზე;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - უნივერსიტეტის დებულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით, მართვის ორგანოების აქტებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების, ასევე რექტორის დავალებით შესაბამისი ბრძანების შესრულებაზე;

ე) აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები - უნივერსიტეტის მართვის ორგანოების

აქტებით (დებულება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, აფილირების წესი და სხვა) გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების და შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

ვ) სამეცნიერო, აკადემიური და საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები - უნივერსიტეტის მართვის ორგანოების აქტებით (დებულება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, აფილირების წესი და სხვა) გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების და შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

ზ) შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის მართვის ორგანოების აქტებით (დებულება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, აფილირების წესი და სხვა) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით გათვალისწინებული

ფუნქცია-მოვალეობების და შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.